

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან“ იმ მუხლების ამოღება, რომლებიც არეგულირებს „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე სამართალდარღვევებს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტით ხდება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან“ „მუხლი 90. სამთო, სამშენებლო, ფეთქებადსაშიშ ან სხვა ობიექტებზე, სადაც ხორციელდება საშიში საქმიანობა, სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ნორმებისა და წესების დარღვევა“; „მუხლი 90¹. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალებისა და საამფეთქებლო საქმის ხელსაწყოების ამზადების, გამოცდის, შექმნისა და შენახვის პირობების დარღვევა“; „მუხლი 91. ფეთქებადი მასალებისა და საშიში ქიმიური ნივთიერებების საწარმოო დანიშნულების მიზნით გადაზიდვის, შენახვის, გამოყენების, დაცვისა და აღრიცხვის ნორმების და წესების დარღვევა“; „მუხლი 91¹. საშიში საწარმოო ობიექტების დამზადება, მათზე სამუშაოთა წარმოება ან მომსახურება უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევით, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოების სათანადო ნებართვის გარეშე მუშაობა“ და „მუხლი 96.

გაზის, ნავთობის, ნავთობპროდუქტების მაგისტრალური სადენების, აგრეთვე გაზის საშუალო და დაბალი წნევის ქსელებისა და თხევადი გაზის ექსპლუატაციის წესების დარღვევა“ ამოღება.

აღნიშნული მუხლები გადადის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან ამ კანონით დადგენილი ჯარიმები გადადის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);
კანონპროექტი არ აღგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია – საქართველოს მთავრობა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია – საქართველოს მთავრობა.